ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/009

ქ.თბილისი 23 იანვარი 2015 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ვახტანგ ქიზიყურაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ანაგრი გრუპი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ უტკევიჩის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია-ტვირთის (30 კუბ. მ. მორებად დაჭრილი შეშის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 15 სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის მიტანა) გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

2.2. CPV კოდი 63110000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1235.28/ (ათას ორას ოცდათხუთმეტი ლარი და 28 თეთრი) ლარს;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;
3.3. ხარჟთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 26 თებერვლის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
12.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ისნის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1

ხაზინის ერთიანი ანგარიში
№200122900

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

---------- ა. ქებიყურაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ანაგრი გრუპი"
მის. ქ. თბილისის, ჩოლოყაშვილის 7/1
სს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE84 LB01 1315 3106 3860 02

კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 406 137 470

დირექტორი

---------- მ. უტკევიჩი

სოციალურად დაუცველთათვის გამოყოფილი დასარიგებელი შეშის ხარჯთაღრიცხვა

_____ 2025 წელი

დამკვეთი:
ისნის რაიონის გამგეობა
მის: ნავთლუღის ქ № 8-1

შემსრულებელი:
შ.პს. „ ანაგრი გრუპი "
მის: ჩოლოყაშვილის ქ № 7/1
დირექტორი: მ. უტკევიჩი
ს/კ 406137470
მობ: 577 65 52 43

დასარიგებელია: 30 მ3 შეშა. 15 სოც.დაუცველ ოჯახზე

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რ-ბა	მასალა		ხელფასი		მანქანამექანიზ და ტრანსპორ.		ჯამი
				ფასი	ჯამი	ფასი	ჯამი	ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სატვირთო მანქანით 15 მისამართზე შეშის მიტანა	m^3	30.0					20.00	600.00	600.00
2	მუშა ხელი (შეშის დატვირთვა-ჩამოცლა)	m^3	30.0			14.66	439.80			439.80
	ჯამი						439.80		600.00	1039.80
	ზედნადები ხარჯები:	10%								103.98
	ჯამი:									1143.78
	გეგმიური დაგროვება:	8%								91.50
	ჯამი:									1235.28